

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი

სათათბიროს სხდომის

ოქმი №1

08.02.2019

სათათბიროს 15 წევრიდან ესწრებოდა 13

**დღის წესრიგი :**

1. 2018 წელს შესრულებული სამეცნიერო სამუშაოების დამტკიცება (დეპარტამენტის ხელმძღვანელები);
2. ფაკულტეტის სტრუქტურული ცვლილების შესახებ (ნ. წერეთელი);
3. პროფესორთა მოწვევასთან დაკავშირებით (ნ. კუციავა, დ. ნოზაძე);
4. ემერიტუსის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით (ნ. წერეთელი);
5. უფროს ლაბორანტ კ. თოიძის განცხადებასთან დაკავშირებით (ნ. წერეთელი); მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს დეპარტამენტის ხელმძღვანელების: პროფესორების ნ. კუციავას, დ. ნოზაძის, დ. ერისთავის, მ. ცინცაძის, თ. ცინცაძის ინფორმაციები. მათდამი რწმუნებულ დეპარტამენტებში შესრულებული 2018 წლის სამეცნიერო სამუშაოების შესახებ და წარმოადგინეს შესაბამისი დადებითი რეცენზიები (თან ერთვის).

**აზრი გამოთქვას** პროფესორებმა: მ. მაისურაძემ, გ.ლოლაძემ, ზ. კოვზირიძემ,

**დაადგინეს:**დეპარტამენტების ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი 2018 წელს შესრულებული სამეცნიერო ანგარიშები შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

2. მოისმინეს პროფ. ნ. წერეთლის ინფორმაცია.მან სათათბიროს წევრებს გააცნო სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელის პროფ. დ. ხუციშვილის განცხადება ფაკულტეტზე სასურსათო მიმართულებით, აკადემიური დეპარტამენტის გახსნის თაობაზე, რომელიც „სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერიის“ საგანმანათლებლო პროგრამას მოამზადებს მომავალი აკრედიტაციისთვის და იზრუნებს მის განვითარებაზე. დეპარტამენტის სახელწოდება შესაძლებელია ემთხვეოდეს საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებას (თან ერთვის).

**აზრი გამოთქვას** პროფესორებმა : მ. მაისურაძემ, მ. მაცაბერიძემ; ნ. კუციავამ, თ. ცინცაძემ, მ. ცინცაძემ , მენეჯერმა გ. მჭედლიშვილმა;

**დაადგინეს:** 1. მიეცეს რეკომენდაცია ფაკულტეტის საბჭოს, რათა განიხილოს და დადებითად გადაწყვიტოს სასურსათო მიმართულებით აკადემიური დეპარტამენტის შექმნის საკითხი.

2. ეთხოვოს პროფესორ მ.მაცაბერიძეს ფაკულტეტის საბჭოს ჩატარებამდე დარგის სპეციალისტებთან ერთად წარმოადგინოს დეპარტამენტის რაციონალური დასახელება და კონცეფცია.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

**3. მოისმინეს:** პროფესორ ნ.კუციავას ინფორმაცია ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტში მიმდინარე სასწავლო წლის მეორე სემესტრში პროფესორის 0.5 ს/ე-ზე, ტ.მ.კანდიდატის მარინა კაპანაძისა და ასოც. პროფესორის 0.5 ს/ე-ზე აკადემიური დოქტორის ვასილ ტაბიძის მოწვევასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ მ. კაპანაძე არის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი და წლების განმავლობაში ასრულებს საათობრივ დატვირთვას ქიმიის ისტორიის მიმართულებით.რაც შეეხება ვ. ტაბიძეს, იგი არის ახალგაზრდა სპეციალისტი, ნიჭიერი ახალგაზრდა.ვასილ ტაბიძე მეორე სემესტრში წაიკითხავს ქიმიური ტექნოლოგიებისთვის მეტად საჭირო საგანს:კომპიუტერული პროექტირების საფუძვლები.

**აზრი გამოთქვას** პროფესორებმა მ. მშვილდაძემ და მ. მაისურაძემ.

**დაადგინეს:** 2018-19 სასწავლო წლის მეორე სემესტრში მოწვეული იქნან;

1. მარინა კაპანაძე ტ.მ.კანდიდატი - პროფესორის 0.5 ს/ე-ზე;
2. ვასილ ტაბიძე აკად. დოქტორი - ასოც. პროფესორის 0.5 ს/ე-ზე;

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

**მოისმინეს** პროფესორ დ. ნოზაძის ინფორმაცია „მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების“ დეპარტამენტში ასოც. პროფესორის 0.5 ს/ე-ზე, აკად. დოქტორის ირაკლი აბდუშელიშვილის მოწვევის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ ი. აბდუშელიშვილი წლების განმავლობაში კეთილსინდისიერად ასრულებს საათობრივ დატვირთვას და იგი არის პერსპექტიული ახალგაზრდა.

**აზრი გამოთქვას** პროფესორებმა ნ. წერეთელმა, მ. მშვილდაძემ და მ. მაისურაძემ.

**დაადგინეს:** 2018-19 სასწავლო წლის მეორე სემესტრში მოწვეული იქნას:

1. ირაკლი აბდუშელიშვილი აკად. დოქტორი- ასოც. პროფესორის 0.5 ს/ე-ზე.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

**4.მოისმინეს** პროფესორ ნ. წერეთლის ინფორმაცია,რომელმაც ემერიტუსის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით, სათათბიროს წევრებს გააცნო მოწვეული პროფესორის (0.5 ს/ე), ნელი აბულაძის განცხადება (თან ერთვის), რომელიც ხუთ ათეულ წელზე მეტია წარმატებით მოღვაწეობს ფაკულტეტზე და ემსახურება თაობათა აღზრდას, იყო კათედრის გამგის მოადგილეც. თავმჯდომარემ განმარტა, რომ ფაკულტეტზე ამჟამად არის ემერიტუსის ვაკანსია.

**აზრი გამოთქვას** პროფესორებმა: მ. მაისურაძემ, რ. კლდიაშვილმა; გ. ლოლაძემ.

**დაადგინეს:** მიენიჭოს ემერიტუსის წოდება მოწვეულ ასოც. პროფესორ (0.5 ს/ე) ნელი აბულაძეს 2019-20 სასწავლო წლის დასაწყისიდან..

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

**5.მოისმინეს** თავმჯდომარის პროფ. ნ. წერეთლის ინფორმაცია უფროს ლაბორანტ პოლინა თოიძის განცხადებასთან დაკავშირებით (თან ერთვის), რომელიც ითხოვს

დოქტორანტურაში დარჩენილი 1125 ლარის ოდენობით, სწავლის საფასურის შემღებებისდაგვარად დაფარვას.

**აზრი გამოთქვებს** მენეჯერმა გ. მჭედლიშვილმა და პროფ. მ. მშვილდაძემ.

**დაადგინეს:**მესამე წლის სწავლების დოქტორანტს, პოლინა თოიძეს, დაეფაროს სწავლის საფასური 500 ლარის ოდენობით ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

### **მიმდინარე საკითხები:**

**მოისმინეს:** პროფესორ ნ.კუციავას ინფორმაცია მეორე წლის სწავლების მაგისტრანტებისთვის სამაგისტრო ნაშრომების დასახელებაში კორექტირების შეტანის შესახებ (თან ერთვის).

**დაადგინეს:** 1. მაგისტრანტ ნინო ხატრიშვილის სამაგისტრო ნაშრომის დასახელება დაკონკრეტდეს შემდეგი სახით „ თეთრი ღვინის (წინანდალი და ტვიში), ფიზიკურ-ქიმიური კვლევა და სტაბილიზაციის პროცესის ოპტიმიზაცია მდგრადობის უზრუნველსაყოფად“.

2. მაგისტრანტ ნატო გაგომიძის სამაგისტრო ნაშრომის დასახელება დაკონკრეტდეს შემდეგი სახით „ წითელი ღვინის (საფერავი და მუკუზანი), ფიზიკურ-ქიმიური კვლევა და სტაბილიზაციის პროცესის ოპტიმიზაცია მდგრადობის უზრუნველსაყოფად“.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

**მოისმინეს** პროფესორ დიმიტრი ერისთავის ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ „გარემოსდაცვითი ინჟინერიისა და ეკოლოგიის“ დეპარტამენტის პროფესორ შალვა ანდლულაძეს შეუსრულდა 70 წელი და წამოაყენა წინადადება იუბილესთან დაკავშირებით, მიენიჭოს საპატიო დიპლომი და მიეცეს ერთი თვის თანამდებობრივი სარგო 1200 ლარის ოდენობით.

**დაადგინეს:** პროფ. შ. ანდლულაძეს სტუ-ში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის, 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით მიენიჭოს საპატიო დიპლომი და მიეცეს ერთი თვის თანამდებობრივი სარგო 1200 ლარის ოდენობით.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

**მოისმინეს თავმჯდომარის ინფორმაცია საპატიო დიპლომის მინიჭების შესახებ.**მან აღნიშნა, რომ საიუბილეო თარიღი შეუსრულდა ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროს პროფ. ნ. კუციავას, რომელიც მრავალი ათეული წელია ეწევა ნაყოფიერ მოღვაწეობას ტექნიკურ უნივერსიტეტში, როგორც აკადემიური მიმართულებით, ასევე ადმინისტრაციული კუთხით. მან მოუწოდა სათათბიროს წევრებს მიეცათ რეკომენდაცია აკადემიური საბჭოს წინაშე, რათა პროფ. ნ. კუციავა დაჯილდოვდეს საპატიო დიპლომით და მიეცეს ერთი თვის თანამდებობრივი სარგო (1200 ლარი).

**აზრი გამოთქვეს** პროფესორებმა: მ. მშვილდაძემ; დ. ნოზაძემ და რ. კლდიაშვილმა;

**დადგინეს:** პროფ. ნ. კუციავას სტუ-ში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მიენიჭოს საპატიო დიპლომი და მიეცეს ერთი თვის თანამდებობრივი სარგო 1200 ლარის ოდენობით.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

**მოისმინეს** პროფ. ნ. წერეთლის ინფორმაცია სტუ-ში სპეციალისტებისთვის კონკურსის გამოცხადების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ამჟამად ფაკულტეტზე შტატში და შტატგარეშე მომუშავე სპეციალისტთა საერთო რაოდენობიდან კონკურსი ცხადდება ;

- მთავარი სპეციალისტის 4 ვაკანტურ ადგილზე ( ნაცვლად 6 ადგილისა);
- უფროსი სპეციალისტის 15.5 ვაკანტურ ადგილზე (ნაცვლად 11.5 ადგილისა, ყველა დეპარტამენტში გათვალისწინებულია უფროსი სპეციალისტის 1 ს/ე);
- სპეციალისტის 7.5 ვაკანტური ადგილზე (ნაცვლად 12.5 ადგილისა);

აღნიშნული რეორგანიზაციის შედეგად, სპეციალისტთა სახელფასო ფონდი შემცირდება 13 200 ლარით.

**აზრი გამოთქვეს** პროფესორებმა მ. ცინცაძემ, თ. ცინცაძემ, მ. მშვილდაძემ.

**დადგინეს:** გამოცხადდეს სპეციალისტთა კონკურსი წარმოდგენილი სახით.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

**მოისმინეს** პროფესორ დიმიტრი ერისთავის ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ 2019 წელს 80 წელი უსრულდება გარემოს დაცვითი კათედრის დამაარსებელს პროფესორ ვიქტორ ერისთავს. დეპარტამენტის თანამშრომელთა სურვილია 2019 წლის ნოემბერში გაიმართოს საიუბილეო საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია სახელწოდებით „გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება“ (მოხსენებითი ბარათი თან ერთვის).

**აზრი გამოთქვეს** პროფ. ნ. წერეთელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ პროფ. ვ. ერისთავის იუბილესადმი მიზღვნილი საერთაშორისო კონფერენციის ჩასატარებლად ფაკულტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხა.

**პროფ. ზ. კოფჩირიძემ** წამოაყენა წინადადება გარემოს დაცვითი ინჟინერიისა და ეკოლოგიის დეპარტამენტს მიენიჭოს პროფ. ვ. ერისთავის სახელი.

**დადგინეს:** 1. პროფ. ვ. ერისთავის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით, 2019 წლის ნოემბერში გაიმართოს საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია სახელწოდებით „გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება“ .

2. ეთხოვოს გარემოს დაცვითი ინჟინერიისა და ეკოლოგიის დეპარტამენტს წარმოადგინოს შუამდგომლობა დეპარტამენტისთვის პროფ. ვ. ერისთავის სახელის მინიჭების შესახებ.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

**მოისმინეს პროფ.ზ. კოვზირიძის ინფორმაცია პროფ. ნიკოლოზ ქაშაკაშვილის 130 წლის იუბილესთან დაკავშირებით.** მან აღნიშნა, რომ მეორე კორპუსის წინა ფასადზე გამოკრულ ბარელიეფზე შესრულებულ წარწერებში დაშვებულია უზუსტობები რომელიც მის მიერ მოპოვებულ ინფორმაციას ეწინააღმდეგება. იგი შეურაცხყოფილად გრძნობს თავს და წამოაყენა წინადადება სათათბირომ და შემდგომში საბჭომ იმსჯელოს აღნიშნულის შესახებ.

**აზრი გამოთქვა** თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ პროფ. გ. ქაშაკაშვილის საქართველოში არ ყოფნის გამო არამიზანშეწონილად მიაჩნია მის დაუსწრებლად ამ საკითხის განხილვა და დასძინა, რომ დაინტერესებული მხარეების შეხვედრის შემდეგ, საჭიროებისდა მიხედვით მოხდეს ამ საკითხის განხილვა.

**მოისმინეს** თავმჯდომარის პროფ. ნ. წერეთლის ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ მომავალი აკრედიტაციისათვის აუცილებელია დაიწეროს სახელმძღვანელო საგანში „პარფიუმერულ-კოსმეტიკური ნაწარმის ანალიზი“ და წამოაყენა წინადადება სახელმძღვანელოს შექმნა დაევალოს ქიმიის დეპარტამენტის პროფესორ დავით ჯინჭარაძეს და მას 260 საათი ჩაეთვალოს 2018-19 სასწავლო წლის აკადემიურ დატვირთვაში.

**აზრი გამოთქვას** პროფესორებმა ნ. კუციავამ; მ.მშვილდაძემ, მ. მაისურაძემ.

**დაადგინეს:** დაევალოს პროფესორ დავით ჯინჭარაძეს დაწეროს სახელმძღვანელო საგანში: „პარფიუმერულ-კოსმეტიკური ნაწარმის ანალიზი“ და სახელმძღვანელოს დაწერისათვის 260 საათი ჩაეთვალოს 2018-19 სასწავლო წლის აკადემიურ დატვირთვაში.

დადგენილება მიღებულია ერთხმად

თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სათათბიროს თავმჯდომარე, პროფ.

ნ. წერეთელი

მდივანი, პროფ.

მ. მშვილდაძე